

საქართველო



GEORGIA

ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულო

SAKREBULO OF ZUGDIDI MUNICIPALITY

2100, ქ. ზუგდიდი, ზვიად გამსახურდიას გამზ. №45

№45 Zv.Gamsakhurdia av. ZUGDIDI, 2100

ქ.ზუგდიდი

15.02.2018 წელი

ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

განკარგულება №24

ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე

ქუჩის სახელების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „პ“ ქვეპუნქტის, 24-ე მუხლის 1-ლი პუნქტის „ა.ე“ ქვეპუნქტის და 61-ე მუხლის პირველი და მე-2 პუნქტების, აგრეთვე „მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე გეოგრაფიული ობიექტების სახელების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2015 წლის 1 ივნისის №239 დადგენილების მე-4 მუხლის „ე“ პუნქტის და გეოგრაფიული ობიექტების სახელწოდებათა დადგენის, ნორმალიზების, გამოყენების, აღრიცხვისა და დაცვის მიზნით გეოგრაფიული ობიექტების სახელწოდებათა სფეროში მოქმედი სამთავრობო კომისიის 2017 წლის 22 დეკემბრის №10 სხდომის ოქმით მიღებული თანხმობის შესაბამისად, ქალაქ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულომ მიიღო განკარგულება:

1. ზუგდიდის მუნიციპალიტეტის კიროვის ადმინისტრაციულ ერთეულში თავისუფლების ქუჩას გადაერქვას სახელი და მიენიჭოს მეორე მსოფლიო ომში დაღუპული მფრინავის ივანე გახარიას სახელი.
2. განკარგულება გადაგზავნილ იქნას ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიაში, სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოში, სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოში, შინაგან საქმეთა სამინისტროსა და საქართველოს ცენტრალურ საარჩევნო კომისიას.
3. ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიამ უზრუნველყოს კონკრეტული ღონისძიებების გატარება (აბრების, ფირნიშების, რუკების (არსებობის შემთხვევაში), ცნობარების და სხვ. დამზადება, კორექტირება, გავრცელება და სხვ.)
4. განკარგულება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.
5. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში, ზუგდიდის რაიონულ სასამართლოში (მისამართი: ზუგდიდი რ. ლალიძი ქუჩა N12).

ზუგდიდის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე



მამუკა წოწერია